ეთიკის კოდექსის შემუშავების /განახლების საკონტროლო სია

ევროპის საბჭოს

ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობათა კონგრესი

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ნაშრომის სახელწოდება ინგლისურ ენაზე:

Checklist for Developing or Reviewing the Code of Ethics (English version)

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორთა პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

არაუმეტეს 500 სიტყვიანი ნაწყვეტების რეპროდუცირება დაშვებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეპროდუცირება მიზნად ისახავს კომერციული სარგებლის მიღებას, და იმ ფაქტის გათვალისწინებით თუ დაცული იქნება დოკუმენტების მთლიანობა, ნაწყვეტი არ იქნება გამოყენებული კონტექსტიდან ამოვარდნილი ფორმით, არ იქნება არასრული ინფორმაციის შემცველი ან არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, მოცულობასა და შინაარსთან დაკავშირებით. წყარო ყოველთვის უნდა იყოს მითითებული როგორც „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირებასთან/თარგმნასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

გამოცემასთან დაკავშირებული ყველა სხვა თხოვნა უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
F 67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი
ელ-ფოსტა: congress.adm@coe.int

დოკუმენტის დიზაინი: შ.პ.ს. რეს ბონე

ფოტო: Shutterstock

© ევროპის საბჭო, სექტემბერი, 2023

ეთიკის კოდექსის შემუშავების /განახლების საკონტროლო სია

მოცემული საკონტროლო სია ადგილობრივ ხელისუფლებას ეთიკისა და ქცევის კოდექსის შემუშავებასა და გადახედვაში შეუწყობს ხელს. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, ადგილობრივი ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს ეთიკის კოდექსში მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ინდივიდის მიმართ სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის ღირებულებებს ასახვა. საკონტროლო სია არის პრაქტიკულ სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებს შორის ანგარიშვალდებულებისა და ეთიკური ქცევის კულტურის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს უფრო მეტად სამართლიანი და თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

გამოიყენეთ ძირითადი პრინციპები

ეთიკის კოდექსში ეთიკის ძირითადი პრინციპების გამოყენება მუნიციპალიტეტში შემავალ ინდივიდებსა და სუბიექტებს მორალურ კომპასს აძლევს. ეს პრინციპები, როგორიცაა კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და ურთიერთპატივისცემა, მოქმედებენ როგორც სახელმძღვანელო წესები, რათა უზრუნველყონ ქმედებების შესაბამისობა ეთიკურ ღირებულებებთან. ამ პრინციპების განხილვა და ანალიზი მათი შინაარსისა და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების შესახებ საერთო გაგების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

- ☐ იმსჯელეთ და გააანალიზეთ ეთიკის კოდექსში ისეთი პრინციპების გამოყენება როგორიცაა კეთილსინდისიერება, კანონიერება, ობიექტურობა, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, ურთიერთპატივისცემა და ლიდერობა.
- ☐ დარწმუნდით, რომ დოკუმენტში თითოეული პრინციპი მკაფიოდ არის განსაზღვრული.
- ☐ განიხილეთ და იმსჯელეთ, თუ როგორ წარმართავს ეს პრინციპები მუნიციპალიტეტის ფარგლებში ეთიკურ ქცევას.
- ☐ მოიტანეთ პრაქტიკული მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ეს პრინციპები სხვადასხვა კონტექსტში.

გადაამოწმეთ სამართლებრივი შესაბამისობა

იმისთვის, რომ ეთიკის კოდექსის გამართულად გამოყენება მოხერხდეს, აუცილებელია მისი სამართლებრივი შესაბამისობის განსაზღვრა, რათა დოკუმენტმა იურიდიულ გამოწვევებს გაუძლოს. კოდექსის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ჩამოთვალოთ და განიხილოთ შესაბამისი შიდა კანონები, სტრატეგიები და პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც მხარს უჭერენ მის განხორციელებას. ეს უზრუნველყოფს არა მხოლოდ კოდექსის სამართლებრივ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანას, არამედ მის წარმატებით აღსრულებას.

- ☐ ჩამოთვალეთ ყველა შესაბამისი შიდა კანონი ეროვნულ, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, რომლებიც მხარს უჭერენ ეთიკის კოდექსის წარმატებით განხორციელებას.
- ☐ მიუთითეთ სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომლებიც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს.
- ☐ ახსენეთ სხვა პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ხელს უწყობს კოდექსის სამართლებრივ ჩარჩოს.

გამოყავით შესაბამისი თემები

ეთიკის კოდექსში სხვადასხვა შესაბამისი თემების განხილვა აფართოებს მის ფარგლებს. აღნიშნული, დაწყებული ინტერესთა კონფლიქტიდან ანტი-დისკრიმინაციული ზომებით დამთავრებული, მოიცავს ეთიკური მოსაზრებების ფართო სპექტრს. დოკუმენტში მათი ყოვლისმომცველი ჩართვა ხელს უწყობს ეთიკური ქცევის კულტურის უზრუნველყოფას და ნათელს ხდის ყველა დაინტერესებული მხარის მოლოდინებს.

- ☐ განიხილეთ ეთიკის კოდექსში ისეთი თემების ინტეგრირება, როგორიცაა ინტერესთა კონფლიქტი, საჯარო მოხელეთა გარე საქმიანობა, საჩუქრები, საჯარო რესურსების გამოყენება, შესყიდვების შიდა კონტროლი, მამხილებელთა დაცვა, ლობირება, გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა, ინფორმაციის, ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენება, ბულინგი და შევიწროება, სიძულვილის ენა და სხვა.
- ☐ დარწმუნდით, რომ თითოეული თემა სრულად არის განხილული ეთიკის კოდექსის ფარგლებში.
- ☐ ნათლად ჩამოაყალიბეთ პასუხისმგებლობები და

სახელმძღვანელო წესები, რომლებიც დაკავშირებულია თითოეულ თემასთან.

დაადგინეთ კოდექსის დარღვევის გამოძიების პროცედურები

ეთიკის კოდექსის დარღვევის გამოძიების მკაფიო პროცედურები გადამწყვეტია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ნდობისა და სამართლიანობის შესანარჩუნებლად. ეს პროცედურები უნდა იძლეოდეს არა მხოლოდ საფუძვლიანი გამოძიების ჩატარების საშუალებას, არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს მკაცრი კონფიდენციალურობა ჩართული პირების დასაცავად. გამოძიების შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შეთავაზება, მათ შორის, პროცედურული გადახედვები და პერსონალის ტრენინგი, ხელს უწყობს კოდექსის აღსრულების ეფექტურობას.

- ☐ ჩამოთვალეთ და განიხილეთ შემოთავაზებული შიდა რეგულაციები ეთიკის კოდექსის დარღვევის გამოსაძიებლად.
- ☐ მკაცრი კონფიდენციალურობის დაცვით მიუთითეთ პროცედურები საეჭვო არაეთიკური ქცევის გამოსაძიებლად.
- ☐ შესთავაზეთ გადაწყვეტილებები იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად, პროცედურული გადასინჯვის, რეორგანიზაციის, ტრენინგისა და დანაყოფებს შორის მობილობის ჩათვლით.
- ☐ საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრეთ გარე კონტროლის ორგანოებისთვის საქმის გადაცემის პროცესი.

ჩამოაყალიბეთ სანქცირების პრინციპები

სანქცირების პრინციპების დაწესება ეთიკის კოდექსში უზრუნველყოფს სამართლიანობას და თანმიმდევრულობას დარღვევებთან მიმართებაში. სანქცირების შესახებ გადაწყვეტილებებს უნდა წარმართავდეს დროულობის, პროპორციულობისა და ეფექტიანობის პრინციპები. გასაჩივრების პროცესის განსაზღვრა კიდევ უფრო აძლიერებს სანქცირების მექანიზმის სამართლიანობას და პირებს მოუწოდებს, თავიანთ ქმედებებზე პასუხისმგებლობა აიღონ.

- ☐ დოკუმენტში თანმიმდევრულად მიუთითეთ, როგორ განისაზღვრება და გამოიყენება სანქცირების მექანიზმი.
- ☐ მკაფიოდ განსაზღვრეთ სანქცირების წინაშე მყოფი პირების გასაჩივრების პროცესი.

- დარწმუნდით, რომ სანქცირების მექანიზმი შემუშავებულია მომავალი დარღვევების თავიდან ასაცილებლად და ეთიკური ქცევის ხელშეწყობას ემსახურება.

ჩამოაყალიბეთ მონიტორინგისა და განხილვის პროცესი

ეთიკის კოდექსის ეფექტიანობა ეყრდნობა უწყვეტ მონიტორინგსა და შეფასებას. რისკის შეფასების ინსტრუმენტების ინტეგრირება, კულტურის მონიტორინგის შიდა შესაძლებლობების შენარჩუნება და შიდა და გარე მექანიზმებს შორის კავშირების დამყარება აძლიერებს კოდექსის გავლენას. რეგულარული მოხსენება, ცნობიერების ამაღლება და კოლეგების მიერ ინფორმაციის გაცვლა ეთიკური ქცევის ხელშეწყობას და მუდმივ გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

- მიუთითეთ მონიტორინგის პროცესში რისკის შეფასების ინსტრუმენტების, მათ შორის, გამოკითხვების, ინტერვიუ-ების, ფოკუს-ჯგუფებისა და აუდიტის ინტეგრირების გზები.
- ჩამოაყალიბეთ ორგანიზაციული კულტურის მონიტორინგის შიდა შესაძლებლობები.
- შექმენით კავშირები შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმებს შორის.
- აწარმოეთ ინფორმაციის ბაზა და გამოაქვეყნეთ რეგულარული ანგარიშები ეთიკის კოდექსის იმპლემენტაციისა და გავლენის შესახებ.
- დაგეგმეთ ცნობიერების ამაღლების აქტივობები და ტრენინგი თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.
- საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად განიხილეთ კოლეგების მიერ ერთმანეთის მიმოხილვის ღონისძიებები მსგავს საჯარო ორგანიზაციებთან.
- ეთიკური ქცევის ხელშეწყობის მიზნით შესთავაზეთ სამუშაო პრაქტიკაში, ორგანიზაციულ სტრუქტურებში, პოლიტიკასა და პროცედურებში მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებები.

ეთიკის კოდექსის შემუშავების/გადახედვის საკონტროლო სია შეიმუშავეს ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის არჩეულმა წარმომადგენლებმა 2023 წელს, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკისა და პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმი უნიკალური პლატფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობას სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესების, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების მიმართულებით, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაცია. ფორუმი შეიქმნა პროექტის "მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების გენერალური დირექტორატი საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით.

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი ორგანიზაცია კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერებაზე საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში. კონგრესი შედგება ორი პალატისაგან - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პალატისა და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების პალატისაგან - და სამი კომიტეტისაგან. ის აერთიანებს 130 000-ზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ თანამდებობის პირს.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE